საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის ხელმძღვანელი: ირინე არჯევანიძე,
ფილოლოგიის დოქტორი

დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი დახასიათება:

პროგრამა მიზნად ისახავს, შეასწავლოს არაქართულენოვან სტუდენტებს სახელმწიფო ენა ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობით (მიღებულია სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის 2018 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე, ოქმი #7 დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 394-ე დადგენილებით 2020 წლის 30 ივნისს.) განსაზღვრულ B2 დონეზე, რათა სრულყოფილად ჩაერთონ საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში (შეძლონ ქართულ ენაზე სწავლა საბაკალავრო პროგრამებზე).

სემესტრის დასაწყისში ტარდება ენის ცოდნის დონის დასადგენი წერითი, კითხვითი და ზეპირი ტესტირება(გასაუბრება), რომლის შედეგების მიხედვით სტუდენტები განაგრძობენ სწავლას შესაბამისი დონის ბლოკში.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

1. არაქართულენოვან სტუდენტებს შეასწავლოს სახელმწიფო ენა ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობით (მიღებულია სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის 2018 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე, ოქმი #7 დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 394-ე დადგენილებით 2020 წლის 30 ივნისს) განსაზღვრულ B2 დონეზე, რათა სრულყოფილად შეძლონ საბაკალავრო საფეხურის სასურველ პროგრამაზე სწავლის ქართულ ენაზე გაგრძელება.
2. გამოუმუშავოს სტუდენტს ქართულ ენაზე მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუცირების უნარი;
3. შეძლოს ქართულ ენის საკომუნიკაციო და აკადემიური მიზნებისათვის გამოყენება; საკუთარი მოსაზრებების წერით და ზეპირად გადმოცემა;
4. ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად.

5. დაეხმაროს არაქართულენოვან სტუდენტებს, ქართულ აკადემიურ საზოგადოებასა და სოციუმში ინტეგრირებაში, რათა მათ იგრძნონ თავი მულტიეროვნული სახელმწიფოს სრულფასოვან წევრებად და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნისა და რეგიონის სოციალურ განვითარებაში.

სწავლის შედეგები:

ცოდნა / გაცნობიერება:

1.1. აქვს საბაზისო ცოდნა ზოგადად ქართულ ენასა და მის მნიშვნელობაზე.

1.2. ფლობს ქართული ენის საბაზისო ლექსიკურ მარაგს.

1.3. იაზრებს ქართული ენის სისტემის (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთქმედებას.

1.4. აქვს გარკვეული ცოდნა საქართველოს ისტორიასა და ტრადიციებზე; იცის ქართული კულტურის ურთიერთმიმართება სხვა ქვეყნების კულტურასა და ტრადიციებთან; იცის საქართველოს მულტუკულტურული და მულტიეთნიკური კულტურის ასპექტები;

უნარი:

2.1. პრაქტიკულად იყენებს ქართულ ენას საკომუნიკაციო და აკადემიური მიზნებისათვის;

2.2. აქვს ქართულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუცირების უნარი;

2.3. შეუძლია დამოუკიდებლად ინფორმაციის მოპოვება, ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

3.1. ისმენს განსხვავებულ მოსაზრებებს და პატივს სცემს მათ, აყალიბებს საკუთარ პოზიციას ეთიკის ნორმების დაცვით.

3.2. აღიქვამს კულტურულ განსხვავებულობას და ტოლერანტულია სხვა კულტურათა მიმართ;

დაშვების წინაპირობა:

- ✓ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების ტესტის მშობლიურ ენაზე წარმატებით ჩაბარება;
- ✓ უცხოელი მოქალაქეები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სწავლების ხანგრძლივობა - 2 სემესტრი, 1 აკადემიური წელი.
აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისაგან. სემესტრის ხანგრძლივობა არის 21 კვირა, მათ შორის: სალექციო – 15, სასესიო – 3 და პრაქტიკის – 2, დამატებითი გამოცდისთვის – 1 კვირა. (თსაა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. მუხლი 15, პუნქტი 15.3)

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო სტრუქტურა და გეგმა

სასწავლო კურსის დასახელება	საგანზე დაშვების წინაპირობა	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება							I	
			სულ	ლექცია	ჯგუფური მუშაობა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი მუშაობა	I	II
										კრედიტი	კრედიტი
I სემესტრი											

შენიშვნა: სემესტრის დასაწყისში ტარდება ენის ცოდნის დონის დასადგენი წერითი, კითხვითი და ზეპირი (გასაუბრება) პრეტესტი, რომლის შედეგების მიხედვით სტუდენტები განაგრძობენ სწავლას შესაბამისი დონის ბლოკში.

I ბლოკი											
ქართული ენა - წერა, კითხვა, 1.1	წინაპირობის გარეშე	10	**250**	**43**	**96**	**4**	**3**	**146**	**104**	10	
ქართული ენა - მოსმენა, ლაპარაკი 1.1.	წინაპირობის გარეშე	10	**250**	**30**	**120**	**4**	**3**	**157**	**93**	10	
ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1.1	წინაპირობის გარეშე	5	**125**	**15**	**50**	**4**	**3**	**72**	**53**	5	

ქართული ენის კომუნიკაციური გრამატიკა 1.1	წინაპირობის გარეშე	5	**125**	**15**	**60**	**4**	**3**	**82**	**43**	5	

II ბლოკი											
ქართული ენა - წერა, კითხვა 1.2	წინაპირობის გარეშე	10	**250**	**30**	**83**	**4**	**3**	**120**	**130**	10	